დროება

ეგზემპლარი 2 კაპ., ...

მუდამ თვეს ხორაგეულის ტაქციის დანიშვნა უნდა ექმნეს მინდობილიო.

* * *

პოლიცია აცხადებს, რომ ამ თვის 13-ს თორმეტი იმერელი მებალე ორთაჭალის რომელიღაც ბაღიდამ ნავით გადმოდიოდნენ მტკვარზედაო, ნავი გადაუბრუნდათ და სამი ამათგანი დაიღრჩოო, დანარჩენი ცხრა კი გადარჩნენო. დაღუპულები ქუთაისის მაზრის მცხოვრებლებს არიანო; აი ამათი სახელები: დიმიტრი ფხაკაძე, გაბრიელ ბარაშიძე და დიმიტრი აბზანიძე.

„დროებისა“ კორრესპონდენცია.

ქართლიდამ, 26 მარტს. თებერვლის ბოლო რიცხვებში მომიხდა ყოფნა ს. წრომში, რომელიც მდებიორეობს გორის მაზრაში. გორის სტანციის პირ-და-პირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს: აქ ჩემი ყურადღება მიიქცია სამმა საგანმა: ეკკლესიამ, ძამის ხეობის წყლის არხმა და წყლის მილებმა, და ამ საგანზე მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

ეკკლესია ამ ჟამად იწოდება ამაღლების ეკკლესიად, უწინ-კი უწოდებდნენ მაცხოვრის ეკკლესიას, ზოგნი წმ. რაჟდენ მოღვაწისას დიდრონი თლილი ქვით და ზემოდგანაც ყოფილა ფილაქნით დახურული, რომელიც ეხლაც ეტყობა. სიგძე აქვს $29^1/_2$ არშინი; სიგანე $18^1/_2$; სიმაღლე, თუმცა არ გამიზომნია ცუდ ამინდის გამო, იქნება ხუთი-ექვსი საჟენი გუმბათის ძირამდინ. ამ ჟამად გუმბათი აღარა აქვს. ეკკლესიის თალი დამყარებული იყო ოთხ დიდს სვეტზედ, რომელნიც ერთმანეთზედ დაშორებულნი არიან $9^3/_4$ არშინზედ, წინა სვეტები არიან დაშორ[illegible]ნი კანკელზედ ერთ არშინზედ; [illegible]ე-სიის კედლებიდგან კი 3 არშ[illegible]ი.

შიგ ეკკლესიაში დასავლეთი[illegible]რის გავლებული კედელი, რომე[illegible]აც დამყარებულია ბალკონი (ჩ[illegible]ახი) ბალკონს ქვეშ ყოფილა ღამის [illegible]ევლების სადგომი.

საკურთხეველს გარეშემო კედლის ძირში აქვს ორ პირათ შემოვლ[illegible]ბული თლილი ქვა კიბესავით (ცოკოლის მზგავსად). ქანკელის სამხრეთის კუნჭულში შიგ საკურთხეველში არის ამოჭრილი ქვა აიაზმის წყლისათვის. საკურთხეველის თალი ყოფილა შემკული მოზაიკით, რომლის ნიშნები ეხლაც ეტყობა; მოზაიკის შუა არის რაღაცა წარწერილი. თუმცა ეტყობა, რომ ეს წარწერილი ბევრი ყოფილა, მაგრამ ამ ჟამად იმათში შეიძლება გაარჩიოს კაცმა გაჭირვებით ✦ ზევითა ორი სტრიქონი, დანარჩენები-კი აქა-იქა ღა ეტყობა. თუმცა გადმოხატვა მინდოდა ამ სიტყვებისა, მაგრამ იმას მოვერიდე, რომ შეცდომა რამე არ მომსვლოდა, რადგანაც ხუცურის წაკითხვა არ ვიცი. ქანკელში ყოფილა დატანებული რამოდენიმე მარმარილოს სვეტები, რომლებიც ამ ჟამად დამტვრეული არიან; თითონ კანკელი სულაც აღარ არის. საკურთხეველს ჩრდილოეთით და სამხრეთით აქვს გადგმული სამწირველოები; სამხრეთით სამწირველოში ეხლაც არის ხოლმე წირვა-ლოცვა. ჩრდილოეთ სამწირველოს კედელი აღმოსავლეთით არის შემონგრეული, როგორც აქაურებს ახსომთ გარდმოცემით, მტრისგან. ღამე-სამთევლოს ალაგს ჰქონია მოდგმულები ოთახებივით, რომელიც ეხლა დანგრეულია. ჩრდილოეთით მიდგმული ოთახი ამ ჟამათაც არის. ამ შენობას შიგნით ღამის სამთევლოსკენ აქვს კარები. კარებთანვე იწყობა ქვითკირის კიბე; კიბე ადის ორ დიდ თლილ ქვის ხაროს პირებთან, რომლებისთვინაც ყოფილა დანიშნული ეს ოთახი.

ეკკლესიას იქვს გარეთ კედლებში სამი კარები: ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთისკენ. ღამის სამთევლოს ჰქონია ხუთი კარი.

გარეშემო ეკკლესიას აქვს შემოვლებული ქვიტკირის გალავანი; გალოვანში, როგორც ამბობენ, არის ჩაყრილი რამდენიმე ქვევრი, აქავე არის რამდონიმე ორმოები ჭინახულისთვის,

გეძინეთიდგან (იმერეთის მხარეა) ძამის ხეობაში მოდის (20-30 ვერსამდინ) ამ სოფლამდინ წყლის არხი. ამ წყლის არხის გამოყვანას დიდი შეძლება და მუშაობა მოუნდებოდა, რადგანაც უსწორ-მასწორო ადგილებია; ზოგ ალაგს გაჭრა მოუნდებოდა, ზოგან კი სქელი კედლების ამოყვანა. ამ არხის წყლით რწყავდნენ მამულებს, აბრუნებდნენ წისქვილებს. წისქვილის ნაალაგები აქაურებსაც ახსოვთ ეს წყლის არხი დიდიხანია რაც დაუქმებულა.

ამავე სოფელში გამოჩენილა სხვა-და-სხვა დროს წყლის მილები, რომლებიც შორიდგან იყვნენ წამოსულნი.

ყველა ზემო-მოხსენებულნი საგნები საყურადღებონი არიან არხეოლოგიისათვის.

სოფელი წრომი მეტად მცირეა მცხოვრებლების რიცხვით: სულ არ იქნება ოთხმოც კომლზედ მეტი. მსენიც, როგორც გავიგე აქაურებისაგან, ამ ბოლო საუკუნეში დასახლებულან; სამოცი წლის წინეთ სოფელში სულ შვიდი კომლი მ[illegible] მაშინ ზემო-ხსენებული [illegible] წყლის არხი და მილები ამ[illegible] არებაში ყოფილან, რომელშიაც [illegible] არიან.

ამ გარემოებამ დამაფიქრა და [illegible] კითხე:

— დავიჯერო ამაზედ მეტი მცხო[illegible]რებლები არ ყოფილან სოფელში [illegible] ან როგორ და ვინ შეიძლო წრომ[illegible] ეკკლესიის აშენება, წყლის არხის [illegible] მილების გამოყვანა-მეთქი?

ამაზედ ერთმა მოხუცებულმა [illegible] პასუხა:

— რასა ბძანებთ, ყმაწვილო [illegible] ერთ დროს დიდათ გაძრიელებუ[illegible] ხალხი სცხოვრობდა; იმათ მეფის [illegible] წყენობით ააგეს ეს მშვენიერი [illegible]კლესია, გამოიყვანეს არხი და მი[illegible]ბი მამულების მოსარწყავად. მ[illegible]გილი იმავე მეფემ მთლად ეკკლე[illegible] შესწირა. ამ ეკკლესიას ყველანი [illegible]რავდნენ, ვისაც რა შეეძლო, [illegible]ტომა აქვს ჩვენ ეკკლესიას შიგ [illegible]ტანებული ხაროები, გალავანში [illegible]მოები და ქვევრები. აქაური ხა[illegible]გინ თავისუფლებული იყო თავად[illegible]საგან და ყველა ბატონებისაგან. [illegible] თითონ მახსოვს, განაგრძელა მ[illegible] ხუცმა, რომ ამ ორმოცი წლის [illegible] ჩვენ ლალა არავისთვის გვიძლევ[illegible] ეხლა კი გვართმევენ. აქ, ბატონ[illegible] მოღვაწობდა წმ. რაჟდენი, იმისი [illegible] ხელი ჩვენთვის დაუვიწყარია, [illegible] გვასწავლა რჯული. მე ამაზედ მ[illegible] არა ვიცი-რა.

ჩემ კითხვაზედ:—მაშ რა იქნა ხა[illegible]ხი, რის მსხვერპლი ყოფილა: ჭირ[illegible] თუ ომისა!—მომიგო: ჩვენ არ გ[illegible] ვიგონია ამ გვარი ჭირი, რომ ს[illegible] გაენადგურებინოს ყველაფერი, გ[illegible] გონია, რომ აქ შამოსულან მტრ[illegible]

ლო! შენ წინ და შენს მშობლიურს გულთან ვიხდი ბოდიშს, სინანულს და აღვიარებ, რომ მსურდა მიმეწერა პოლინასთვის, რომ მე მზათ ვარ მის სიყვარულისათვის ავიღო ფარ-ხმალი წინაშე ჩემის მამულისა... ღმერთმა მიბრალა, რომ ეს არ მივსწერო: ვიცი პოლინაც შემიძულებდა, ამისთვის, ვითა მამულის მოღალატეს.

მეორეს დღეს დილით მივსწერე შემდეგი წერილი:

„ჩემო პოლინავ!

„რაც მოხდა, მოხდა,—იქმნეს ნება შენი. ავიღოთ ერთმანეთზე ხელი, ნუ ვნახავთ ერთმანეთ! გაიმარჯვებს საფრანგეთი, ანუ გერმანია—სულ ერთია, მაქვს იმედი, ბოლო კეთილი იქნება. მხოლოდ უნდა შეგატყობინო ჩემი აზრიც, რომ კარგათ ვიცნობდეთ ერთი ერთმანეთს: ღმერთო! მიეც გამარჯვება გერმანიასა.

შენი რობერტი.“

ამ წიგნის გაგზავნით თუმცა ცოტაოდენ დავმშვიდდი, მაგრამ იარა არ გაუმთელდა ჩემს გულსა, რომელიც თრთოდა და თითქო იღეოდა—უბედურობის ტანჯვითა.

შემდეგ ამისა მე გადავედი სხვა სახლში და მოუთმენლად ველოდი ომის დაბოლოებას. ათას-ნაირი ამბები ისმოდა. მაგრამ სედანის საქმეს ვერ შესცვლიდნენ, რადგანაც ერთობ დიდი დამარცხება იყო, ერთობ საგრძნობელი და სასტიკი, რომლითაც საფრანგეთის ძალას მოელო ბოლო.

ეს შეიქმნა მიზეზად, რომ საფრანგეთში დაწესდა საერო რესპუბლიკა და ფრანცუზებს მიეცათ ახალი სული და სიცოცხლე.

მაშინ გამოვიდა ბრძანება, რომ ნემენცები გასულიყვნენ პარიჟიდამ.

მოვემზადე წასასვლელად, მაგრამ მოვინდომე უკანასკნელად კიდევ მენახა ჩემი პოლინა, თუმცა ვიცოდი, რომ ეს სურვილი არ იყო კარგი და მოსაწონი.

გავუტყდი ერთს პოლინას მეგობარ ქალსა და მის შემწეობით მოვახერხე ნახვა—ახალს ხიდზედ.

პოლინამ არა იცოდა-რა. განცვიფრებულის და შეშინებულის სახით შემომხედა. მისმა დანახვამ დამიბანდა და სიტყვა ველარ გამოვსთქვი, [illegible]ამ თვითონ არ დამელაპარაკა.

— რად გინდოდა ჩემი ნახვა? [illegible]ხა იმან და აქეთ-იქით იყურ[illegible] და შიშით და მორიდებით.

— მისთვის, რომ გამოგეთხოვო; მე მივდივარ პარიჟიდამ.

— რათ? ჩვენ აკი გამოვეთხოვეთ ერთმანერთს... მომიგო დაბლის ხმით ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— მაშ მშვიდობით, მშვიდობით... ნუ დამივიწყებთ. არ მინდა შეგაწუხოთ, რადგანაც გეტყობათ, რომ გეშინიანთ?

— მეშინიან? ვისი? ჰო, გვიანღაა, აი ანტუანი და ჩემი ძმა, ეტყობა გვზვერავდნენ... მოდი, მივეფაროთ ამ ძეგლსა.

მივედით და მოვეფარენით კაროლ ჰენრიხის ძეგლისა, რომელიც სდგას ამ ალაგს და პოლინამ მიჩურჩულა: —იქნება ვერ დაგვინახეს!

ეს იყო სალამოს ჟამი. მე ვხედავდი, რომ პოლინას ძმა მუშტებს გვიჩვენებდა. ორივეს სამოქალაქო გვარდიის მუნდირები ეცვა. შევხედე პოლინას და ვნახე, რომ მკვდრის ფერი ედვა.

— დავიღუპენით!.. სთქვა პოლინამ.

ამ სიტყვის თქმაზედ პოლინას ძმა იდგა ჩვენს წინა.

— ჰო! ქალო! ესრე ასრულებთ თქვენს სიტყვას? ესე საძაგლად და უსინიდისოთ გვატყუებ, როგორც [illegible] პრუსიელი. ამას, უეჭველია, გადახ[illegible]ბა... —ანტუან,—მიუბრუნდა მეგ[illegible]ბარს, წაიყვანე ჩემი და.

ანტუანს სურდა აღესრულებინა [illegible] ბრძანება, მაგრამ პოლინამ უთხრა:

— მომშორდი, გამიშვი, მე მინ[illegible] შევიტყო რა უნდა უყოთ ამ კაცს[illegible]

— ეგ ჩემი და საფრანგეთის რე[illegible]პუბლიკის საქმეა!

— ეტიენ! მიუგო პოლინამ ალშ[illegible]თებით,—თქვენ უკადრისს საქმეს [illegible] იქმთ, არა; თქვენთან მეც წამოვ[illegible] გთხოვთ გაუშვათ ეგ კაცი; წავ[illegible] თავის გზაზედ, უნდა პარიჟიდამ გა[illegible]ვლა... გთხოვ, ანტუან, წავიდ[illegible] ერთათ...

— თუ შემოგვფიცავ, რომ ამ უს[illegible]ნიდისო და საძაგელ პრუსიელს [illegible] სიცოცხლეში არ გაჰყვები, მაშინ ა[illegible] ვასრულებთ შენს თხოვნას და სურ[illegible]ვილს და თუ არა, გეფიცებით ყოვ[illegible]ლად შემძლებელს ღმერთსა, ეს ნ[illegible] მეცი, ნაცვლად გერმანიისა, წაბრძან[illegible]დება ჯოჯოხეთში.

ამ ლანძღვისთვის ღირსნი იყვნ[illegible] მივვარდნილიყავი ყელში, მაგრამ [illegible] სრული უგუნურობა იქნებოდა [illegible] გან, რადგანაც გარს მეხვია მრავალ[illegible]

...და აქაური ხალხი გაუწყვეტნიათ, ვინც გადარჩა, ტყვეთ წაუყვანიათ; აქაურობა სულ აუკლიათ, ეკლესიის კედელიც ამათ შემოამტვრიეს დიდი ხნის შემდეგ მოსულან აქედ-იქიდგან და ხელ-მეორეთ გაშენებულა.

წმიდანების ცხოვრების აღწერაში წმ. რაჟდენი იხსენება წრომის მოღვაწედ. ჩვენ ვიცით, რომ რაჟდენ მოღვაწი ცხოვრობდა მეხუთე საუკუნეში (465 წ.); ვიცით ისიც, რომ იგი იყო თანამედროვე მეფე ვახტანგ გორგასლანისა; რაჟდენ მოღვაწი იყო მამამძუძე ვახტანგის მეუღლისა, როგორცა სჩანს „ქართლის ცხოვრებიდგან.“ აქედგან მე ის გამომყავს, რომ ს. წრომი მეხუთე საუკუნეს წინათ არა ყოფილა გაოხრებული. ეს რომ ესრე არ იყოს, მაშ ვილასთვის ილვაწებდა წმ. რაჟდენი ამ სოფელში? განა ამაზედ მეტი საზოგადოება აღარ იყო ახლო-მახლო ქართლში, რომ იქ წასულიყო? ამის გარდა ეს რომ ესრე არ ყოფილიყო, მაშინ იმაზედაც უნდა დავეთანხმდეთ, რომ ეკლესია, წყლის არხი და ძილებიც წინათ უნდა ყოფილიყვნენ გაკეთებულნი. ვახტანგ გორგასლანის მეფობის დროსაც შემოესივნენ მტრები, მაგალითად ქართლში შემოსულან ოსნი (449 წ.), რომლებმაც საშინლად ააოხრეს იგი, წაიყვანეს დიდ-ძალი ტყვე, მათ შორის სამი წლის ქალი მირდატისა და ვახტანგისა. ამავე მეფის დროს შემოესივნენ ქართლში სპარსნი (499 წ.), ძმბადის წინამძღომლობით, მაგრამ ვერც ამ დროს მივაწერ ს. წრომის აკლებას. მე უფრო დარწმუნებული ვარ, რომ ეს უბედურება ეწვია სოფელს რამდენიმე ხნის შემდეგ, ამიტომაც შენახულან აქამდინ ნიშნები წრომის წინანდელი კეთილ-დღეობისა.

მე ვახტანგის დროს ვაწყრ ამ სოფლის ეკლესიის აშენებას, ზემოხსენებულ წყლის არხის და მილების გამოყვანას, აი რისთვის: ვახტანგ გორგასლანმა, როდესაც საქართველო პოლიტიკურ მხრით კარგ ფეხზედ დააყენა, დანარჩენი დრო თავის მეფობისა შესწირა ქალაქების და ეკლესიების აშენებას და საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის გამშვენებას; მაგალითად—ააშენა ქალაქი Ტფილისი, მასში ოთხი ეკლესია: სიონის ღვთის-მშობლის მიძინების ეკლესია, მეტეხისა, წმიდა ჯვარი-მამისა და ერთიც ბეთლემის სახელზედ. ამ გვარი შრომა მიილო სხვაგანაც, მაგალითად პირველი ქვა გაახლებისა მცხეთის სობოროსი ვახტანგმა დასდო.

აგრეთვე იქნება გამოყვანილი წყლის არხი და მილები აქაურების კეთილ-დღეობისათვის, რომლებიც ყოფილან განთავისუფლებულნი ყოველ-გვარ ხარჯიდგან და მებატონეებისაგან, როგორც ახლოვთ აქაურ დროულებს; მაგრამ, საუბედუროდ, აქაურებს გასჩენიათ ძალათ-ბატონები ამ ორმოც-სამოც წლის წინად, რომლებიც იმსახურებენ გლეხებს, როგორც თავიანთ ნაყმევებს.

ზაქარია დავითისშვილი.

პასუხი გ. მაყურებელს

„დროების“ № 44-ში იყო დაბეჭდილი ფელტონი შესახებ საცხენისის სასწავლებლისა, რომელიც მთავრობის განძრახვით უნდა გადაკეთდეს რეალურ სასწავლებლად. ამ ფელტონში ავტორი, სხვათა შორის, მეხება მეც. საჭიროდ დავინახე, ჭეშმარიტების აღსადგენელად, პასუხი მივსცე აღნიშნულ კორრესპონდენციის ავტორს.

მართალია, Თელავის სამაზრო სამართველოს სადგომში იყო კრება შესახებ გადმოტანისა Თელავს [illegible]ვალის საცხენისის რეალურ სასწავლებლისა. მე მთხოვა დავსწრებოდი ამ კრებაზედ სამაზრო უფროსის [illegible] მასწავლებლებმა Თელავის საქალაქო სასწავლებლისამ Ივანე [illegible]ლეს-ძე როსტომოვმა, რომელსაც ვუპასუხე, რომ მე ყელი მტკივა და ლაპარაკს მიშლის და უკეთუ შევიძლებ და კარგი ამინდიც იქმნება, დიდის სიამოვნებით დავესწრები. რომ მე ნამდვილად ყელი მტკიოდა იმ დროს, ამას დაამტკიცებს თვით Თელავის სამაზრო ექიმი, რომელიც მე მწამლობდა.

ამის შემდეგ მიკვირს—საიდამ შეადგინა კორრესპონდენტმა შემდეგი:

„Თელავის დეპუტატებმა (!?), სხვათა შორის, გ. ძიკნაძესაც, როგორც მათის შვილების აღმზრდელს და მეცნიერების ხუცესს, სთხოვეს კრებაზედ მობძანება, მაგრამ გ. ძიკნაძემ მის ნაცვლად, რომ ეს აესრულებინა, იმ სიტყვებით დაისტუმრა ისინი, რომლითაც ერთმა თქვენის ქალაქის რჩევის წევრმა გ. ზუბალოვს შეურაცხყოფა მიაყენა“...

მე მთხოვა მხოლოდ ხსენებულმა Ი. როსტომოვმა მასწავლებელთა თანადასწრებით; ამას გარდა სხვებსაც რომ ეთხოვნათ ჩემთვის, მე იმდენად თავაზიანი ვარ ამისთანა საქმეში, რომ სრულებით სხვა პასუხს მივსცემდი ვიდრე იმას, რასაც მე მაწერს კორრესპონდენტი.

გარდა ამისა იმავე კორრესპონდენციაში არის, ვითომც მე მელაპარაკნოს დიდ საზოგადოების წინ Თელავის ბაღში:

„— რათ გინდათ რეალური სასწავლებელი, რა სარგებლობას მოგიტანთ ის თქვენ და სხვ.“

ამაზედ ვეტყვი კორრესპონდენტს იმას, რომ დიდი კრება Თელავის ბაღში აღნიშნული საგნის [illegible]ლად არცა ყოფილა და არც [illegible] თქვამს ამისი მსგავსი. შთხარ მხოლოდ ორიოდე სიტყვა ზოგიერთ ჩემ ნაცნობებს, როდესაც საუბარი იყო საცხენისის სასწავლებელზედ, რომ რეალური სასწავლებლის გადმოტანა ქ. Თელავს არის კეთილი საქმე. ამას ისიც დაუმატე, რომ საცხენისში მზათ გაკეთებული არის შენობა, რომელზედაც მთავრობამ დიდი ფული დახარჯა და იქვე არის სახელმწიფო ადგილები, და, მაშასადამე, რომ ვითხოვოთ ამ სასწავლებლის გადმოტანა ქ. Თელავს, მაშინ Თელავმა უნდა მისცეს საჭირო მატერიალური შემწეობა.

მკუთნოდეს წესიერ კაცებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩემი მამხილებელი ამ წრისაგანაც გამორჩეული ყოფილა, თორემ ამისთანა უზნეობაში და ტალახში არ გაისვრებოდა, რომელშიაც, მწოლარე გვეხატება ეს თვალწინ: მე არ მგონია.

Იმდენად გონება დახშული როგორ ჩამთვალა კორრესპონდენტმა, არ მესმის, რომ რეალური სასწავლებელი, საზოგადო სარგებლობას გარდა, ჩემთვისაც საკუთრად იქმნებოდა დიდად სასარგებლო და სასიამოვნო? როგორ ვერ მოუფიქრებია კორრესპონდენტს, რომ მე უცხო ქვეყნიდამ არა ვარ აქ მოსული, არამედ ვარ ძირეული მცხოვრები Თელავისა, სადაც მაქვს ქონებითი უფლება და თვითეულს კეთილს და კანონიერს დაწყობილებას სიხარულით მივეგებები და ყოველთვის მზათა ვარ შემწეობა მივსცე? Იმას მაინც როგორ ვერ მიჰხვედრია კორრესპონდენტი, რომ სამოქალაქო სასწავლებელნი შეადგენენ სრულიად განსხვავებულ წესზედ მოწყობილ სასწავლებელთ და ამისთანა სასწავლებელთ შეუძლიანთ დარჩნენ მაშინაც,

---

ხალხი. შეწუხებული პოლინა აქეთ-იქით იყურებოდა.

— ანტუან, უთხრა პოლინამ, მე თქვენი ნება და სურვილი ავასრულე. რათა ხართ უკმაყოფილო?

— უკაცრავათ! უნდა აგესრულებინათ თქვენი აღთქმა და არ დაგენიშნათ ალაგი ნახვისა. მაგრამ ლაპარაკის დრო აღარ არის, გადასწყვიტეთ, თუ არა?

— დამნაშავე მე ვარ და არა ეს ქალი, რომელმაც არა იცოდა-რა. უთხარი მე. მერმე მივბრუნდი პოლინისაკენ და ვუთხარი:—ნუ იკისრებთ იმას, რის აღსრულებაც არ შეგიძლიანთ...

პოლინამ შემომხედა, თითქო მიბძანებდა გაჩუმდიო.

— მაგას მე ვერ ავასრულებ, რადგან თავისუფალი მოქალაქე ვარ და არავის არ მივცემ ნებას, იხმაროს ჩემზედ ძალადობა!

— კარგი და პიტიოსანი, ჩემო მტრედო! მეც ვარ მოქალაქე და ერთგული მოსამსახურე მშობელი მამულისა... და ამ სიტყვებით მიუბრუნდა ხალხს და უთხრა:—აი პრუსიელი ჩვენის ამბავის ვამტანი.. ნაცვლად იმისა, რომ აქამდისინ გასულიყო, პარიჟიდამ ბრძანების, ძალით, აქ დარჩენილა, რომ გაგვიგიჟოს ჩვენი ყმაწვილი ქალები!

— პრუსიელი—ჩვენი მტერი და ჯაშუში! ჩააგდეთ, ჩააგდეთ წყალში! შეჰყვირა ხალხმა.

პოლინამ გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, ამაყად წამოიწია, გასწორდა და მაღლის ხმით შესძახა:

— ეგ სიცრუეა! ეს კაცი არ არის გამაგიჟებელი ქალებისა და ჩვენი გამცემი!.. ეგ არის ნამდვილად მამულის მოყვარე და მიდის თავის ქვეყანაში!.. გარწმუნებთ და გიდგებით თავდებად!..

— წყალში! წყალში ეგ ქალიცა! შეჰყვირა ხალხმა, რომელსაც უფრო-და-უფრო ემატებოდა მაყურებლები.

საშინელი წამი იყო მომდგარი ჩვენს თავზედ. მზათ ვიყავი მეთავაზებინა მუშტი, ვინც კი მოვიდოდა ჩემთან. პოლინა ამ დროს მივიდა თავის ძმასთან.

— მოქალაქენო, ეს ქალი ჩემი და არის და ერთგული შვილია მამულისა!..

— მაშ დაგვიმტკიცოს ხმა-მაღლა სთქვას:—გაუმარჯოს საფრანგეთს და ამოწყვეტა პრუსიელებისა!

— Თუმცა პოლინამ მძიმედ და მაღლის ხმით სახალხოთ წარმოსთქვა ეს სიტყვები, მაგრამ გაშფოთებული ხალხი გარს შემომერტყა და ვეიროდნენ:

— Ųარანის ბოძზედ ჩამოახრჩეთ! წყალში გადააგდეთ პრუსიელი!

— გამიგონეთ მოითმინეთ, მოქალაქენო! შეჰყვირა საშინელის ხმით პოლინამ.—ეგ კაცი მიყვარდა და ჩემი საქრმო იყო, რომელზედაც თანხმანი იყვნენ ჩემი მშობელნი. მაგრამ მე ვარ ქალი საფრანგეთისა, ჩემს მამულს შევსწირე ჩემი სიყვარული და ამას ვამბობ სახალხოთ. Თქვენ ხართ, ფრანცუზები და არა ბარბაროზები! გაუშვით ეგ კაცი თავის ქვეყანაში, რომ უამბოს თავის მემამულეთ ფრანცუზის ქალების მამულის სიყვარული და ერთგულობა! გაძლევთ [illegible]იოსან სიტყვას, რომ ჩემის ნაზი სუსტი ხელებით მოგეხმარებით [illegible]ხსნათ ჩვენი ძვირფასი დედა-ქალაქი და ჩემის მაგალითით გავამხნევე მრავალ სხვათაცა!..

— ძრიელ, ძრიელ კარგათ არის ნათქვამი! ბარაქალა, ქალო! Იცოცხლოს მამულის ერთგულმა ქალმა! გაუშვით ნემეცი. Ისმოდა ხალხის ყვირილი.

ამ დროს მოვიდა ჩემთან ვილაც. მშვენიერად ჩაცმული კაცი და მითხრა ზრდილობიანათ:—მობძანდით ეკიპაჟში.

მადლობა გადაუხადე და შევხედე ჩემს მშვენიერს პოლინას, მაგრამ იგი მე აღარ მიყურებდა. ეს დიდათ მეწყინა და ვნანობდი, რომ ხალხმა თავისი მუქარა არ აღასრულა ჩვენზედა;—რომ პოლინამ საქვეყნოთ და სახალხოთ არ გამოაცხადა ჩვენი კავშირი წმინდა სიყვარულისა, ერთგულობისა და ერთად არ მივიღეთ ტანჯვა და სიკვდილი. Იმ დროს მე მეჩვენებოდა, რომ პოლინა დამცინოდა; ისე წავიდა, რომ არც კი მოიხედა ჩემკენ თუ არა, და ამით, თითქო, ჩამასხა გულში მწარე ნაღველი. ხალხი დაიფანტა თავთავის გზაზედა.

დავიჭირე ეკიპაჟი და უბძანე წავეყვანე ჩემს სახლში, სადაც მქონდა მომზადებული ბარგი წასასვლელად.

(დასასრული ხვალ)

როდესაც გაიხსნება რომელსამე ქალაქში რეალური სასწავლებელი? უკეთუ დაიკეტება სამოქალაქო სასწავლებელი, „მაშინ, როგორც ოცნებობს კორრესპონდენტი, არ ვიცი რიღას კერვას შეუდგები მე?“ მაშინ, მისისვე სიტყვით, მე შევიქმნები გამოსადეგად მხოლოდ არხივისთვის. დავარწმუნებ კორრესპონდენტს, რომ ადგილის სათხოვნელად მე იმას არ მიემართავ, რადგან პატიოსან და შრომის მოყვარე პირთ შეუძლიანთ ყველგან კარგად იცხოვრონ. როგორ ვერ წარმოუდგენია კორრესპონდენტს, რომ ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქმნება, რაც მომეტებული პირნი იცხოვრებენ თელავში უნივერსიტეტის განათლებით? კორრესპონდენტი დიდად სწუხს, რომ მისთვის ბუნებას არ უძღვნია ნიჭი ბალზაკისა და ტურგენევისა, რომ მას ჩამოეხედნა ჩემს გულში და შეეტყო—რა ძევს იმაში. რაღა თქმა უნდა, ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ კორრესპონდენტი ბეჯითად დასდგომოდა თავის პირ-და-პირ საქმეს და შეესწავლა ტურგენევი და სხვა ავტორები. მაშინ ის ხომ აღარ დასწერდა ამისთანა რამეებს, სხვის სიმშურნეში არ შევიდოდა და შემდგომს არ შესთხზავდა სხვის მაგიერ: „შეჯობესია ეგ სასწავლებელი სულ არ იყოს, ვინემ მაგის ხელში ჩვენი შვილები მახინჯდებოდნენო“. როდის და რომელმა მშობლებმა წარმოსთქვეს ეს სიტყვები? უთუოდ დიდი გაბედულობის მექონი კაცი უნდა იყოს კორრესპონდენტი, რომ საქვეყნოდ აცხადებს, ვითომ ეს იყოს უმეტესობის აზრი. ნამდვილად კი ჩვენი საზოგადოება უნდოდ იღებს ამ გვარ კორრესპონდენციებს და თვით მათ მწერლებსაც არავითარს პატივს არ აძლევს, რადგან ამ საზოგადოებამ იცის ჭეშმარიტი აზრი ანდაზისა „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზედ ბევრს იწველიდესო“.

ბოლოს დავამშვიდებ კორრესპონდენტს მით, რომ მე დიდად არა ვსაჭიროებ მის საკმევლის კმევას, არა ვსაჭიროებ, რომ ის სწერდეს ჩემს ქებას გაზეთებში, მაგრამ ამასთანავე ვიმედოვნებ, რომ, თუ ის ბატონი ბრძანდება დაგვირგვინებული მალალის ზნეობით, გახსნილის გონებით და საქმის ცოდნით, მაშ სიმართლის გარჩევაც უნდა შესძლებოდა სიცრუისაგან.

ინსპექტორი თელავის სამოქალაქო სასწავლებლისა
ვასილ კიკნაძე.

8 მარტს, ქ. თელავი.

თფილისის სამკურნალო

ავთმოფები მიიღებიან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალეიჩი და ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სიფილიტიული ავთმოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—ფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავთმოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოფობისა; ბაბაევი—ძარღვ. ს სუსტის ავთმოფობისა.

განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. მისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—1)

აუქციონი

17 და 24 აპრილს და 8 მაისს 1882 წელს კავკაზიის აქეთა-მხრის ბრიკაზში დანიშნულია აუქციონით გაყიდვა ოქრო-ვერცხლის და სხვა ძვირფას ნივთებისა. (3—2)

სადგომი

8 და 4 ოთახიანი იძლევა ... ბ ... ვორონცოვას წყლის-ნაპირა ქუჩ... ... ...